

რედაქცია: სოლოლოვაჟე, სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამბროლაძის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გივეის ქუჩაზე, ივ. ამბროლაძის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. მარჯვენა მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაუხათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებში.

ფასი განცხადებისა: ღირსი ასობით ასობე—1 კაპ., ასო-მოთარგმნის იტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცენტროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

წმ. ნიკოლოზის დღესასწაულისა გამოცხადება, ხუთშაბათს, 7 დეკემბერს გაზეთი არ გამოვა.

## საქართველო

სიღნაღის არაულოების მიზანი

როდესაც პირველად გავრცელდა ჩვენში ხმა, რომ სიღნაღის უფლები არეულობა მოხდა, თ. ორბელიანს, უფლის უფროსს, პროკურორს და სხვებს შეუტრაცხყოფა მიაყენეს და სხვ., ბევრს არ სჯეროდა ეს ამბავი. არ სჯეროდათ, რადგან იცოდნენ, რომ ჩვენი ხალხი, ერთ დროს, მართალია, ამაყი, ახლა ერთობ მორჩილი შეიქნა. მერ წარმოედგინათ—ამისთანა უწყესობას, ამისთანა მმართველობის წინააღმდეგობას როგორ გაბედადნენ ქართველები!

მაგრამ მალე დაშტკიცდა, რომ ისინი სცდებოდნენ: სიღნაღის არეულობა და მთავრობის წარშობადგენელი პირების შეურაცხყოფა ხალხისაგან ნამდვილი, მართალი ამბავი გამოდგა.

და ეს მიზეზები ისეთი ყოფილან, რომ იმათგან წარშობადვარ ხალხის გაბრაზებას და უკანონო მოქმედებას ადვილად მიხვდება და გაიგებს კაცი.

მგონი, თვე არ გავიდოდა ისე, რომ ჩვენსა და სხვა ადგილობრივ გაზეთებში არ ყოფილიყო დაბეჭდილი ქანეთილამიღებელი კორრესპონდენციები, რომლის ავტორები ერთ-ხმად იწერებოდნენ, რომ ცუდის მოსავალის წყალობით უიმისოთაც დაღარიბებული და შეწყუბებული ხალხი კიდევ უფრო შეწყუბებაში და ტანჯვაში არის სოფლის მამასახლისებისა და აღმინისტრაციის წვრილალ ჩინოვნიკებისაგან. უკანასკნელს ტყავს აძრობენ, ვისაც ჩაიგდებენ ხელში, ვისაც ქრთამის მიცემა არ შეუძლიანო, ვინც როგორმე ვერ მოიხედას ამათაო.

— რატომ არ სჩივლით თქვენს შემწყუბებლებზედა? ჰკითხა სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ ერთს ბრალდებულს გლეხს.

— მისთან ვიჩივლებდით, შენი ჭირიმე?... ბანა ერთხელ ვიჩივლეთ? მაგრამ ყოველთვის ჩვენვე გამოვიდოდით მტყუანი და კლიაზნს ხალხს გვეძახდნენ!

ამ პასუხში გამოჩნატება გასამართლებელი მიზეზი არეულობის მომხდენთა: რასაკვირველია, დიდი, ძალიან დიდი მხედობა და უკანონობა ჩაიდინეს სიღნაღის უფლის გლეხებმა, რომელთაც ასე უმოწყალოთ, ასე შეუბრალებელად სცემეს ყველა ბრალეულ და უბრალო ჩინოვნიკს, რომელნიც ხელში მოხვდათ ივლისს ბაკურციხეში. ამისთვის კი

დღე-ჯეროვანი სასჯელი გარდახდათ ამათა... მაგრამ ამათი მდგომარეობაც წარმოიღვინეთ: ყოველის მხრით სცარცვენ, აწვალებენ, უკანონობას, უსამართლოებას ხედავენ; ხედავენ, რომ მდიდარი განთავისუფლებულია ყველა გადასახადისაგან და ღარიბს კი თავის და სხვის ტვირთიც აწევება კისერზე;—ყველა ამას ხედავენ, სჩივიან, სამართალი არ ეძლევათ; და რა-მ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი შეიძლებოდა გაბრაზებულიყო და როგორც ყველა გაბრაზებულს, ბევრი მხეცური მოქმედება ჩაედინა?!

თვითონ სამხედრო პროკურორმა სთქვა თავის გამამტყუვნებელ სიტყვაში:

„... ამ ნაირად ცხადია, რომ ხალხის არეულობის მიზეზი ყოფილა ის ბოროტმოქმედება, რომელიც მოხელეებს ჩაუდენიათ ხარკ-კამებით ბეგარაზე გაწვევის დროსა და მილიციონერების აკოვების დროს...“

მართმა ბრალდებულმა გლეხმა ამავე სამხედრო სასამართლოში სხვათა შორის შემდეგი სიტყვები სთქვა:

„მსუთმეტი წლის განმავლობაში იმისთანა მოსავალი არ გვექონია, როგორც შარშან იყო. და ამისთანა დროს მოგვადგნენ ბეგარაზე გასაყვანათ! ღარიბებს, რომელთაც ქრთამის მიცემა არ შეგვეძლო, ხარკ-კამებს გვართმევდნენ; მღირებებს კი არც ბეგარაზე წუხებდნენ და იმათ-

## ფულტონი

ახალციხის მაზრაში

აღრიან დილას ავსდევით, ვახსენებთ ღმერთი და გავფიქვანერვით ხიზაბავრითგან მარძისაკენ.

თანამოგზაურად იყენენ ჩემთან ახალციხელები: უ. შალ-შვილ, შაფ—ვი და ქუთაისელი პ—დოვი, ყველა ახალგაზდა კაცები, ანც კვიცებზედ მჯდარნი. რომ გენახათ თუ როგორ მქენებდნენ სოფლის წინამდებარე მიწა იედ, თქვენ მოგეწონებოდათ.

ამ საქმის გამოძიებამ ა სამხედრო სასამართლომ, რომელიც ამ არეულობაში მონაწილე პირების გასასამართლებელად იყო 15 გასულ ნოემბერს სიღნაღში დანიშნული, ცხადათ აგვიხსნა და დაგვიმტკიცა—თუ რა ყოფილა მიზეზი ამ ხალხის აღელვებისა და გაბრაზებისა.

რომ დაუახლოვდით ძუროს-თავის გორას, მზემ კინტროზედ (ორიზონტზედ) ახლად ამოიჭვირა, შეაყენა თავის მწითური სხივები ტრიალ ცის-გულზედ გაფანტულ ღრუბლებსა, რომელნიც ძრიელის ქარისგან ჩქარ-ჩქარა დაფრინდნენ!... მითქოს ჰაერი, ახალგაზდა კაცები და კვიცები ერთ ჯაჭვზედ ბმულნი გაცივებულ დედამიწის ზურგზედ ერთის ბორბლით ტრიალობდნენ! ამგვინებათ ხელ-ფეხის სისწრაფე, თვალთ ეღვარებ, სულის სიცხოველე და გულნავარდ პი მოღიმარება; მხოლოდ მე იმათში ბერ ჩანჩალა ცხენზედ მჯდარი ვირჩივდი ხნერი შეხედულებით და გულ-ჩათქმულის ნაღვლიანობით... მინ იცის რა და რა მივლიდა გულში? რა ნაირი აზრები მომდიოდა თავში და რამდენი მქროლვარე ფიქრები მიკარგავდნენ სულის ზღსვენებას!

ჩემი ცივის მოძრაობის მოთმინებითგან განსულნი ყმაწვილ კაცნი შო-

რითგან მომძახიდნენ:

— ბამოიარე, გამოსწი, ვაჟო! მიწის-მზომელივით რა ღობე-ყორეს მოსდებიხარ, შენზედ ხომ არ დარჩენილა რუსეთის გეომეტრობა?...

ნიჯორის ბახჩებში ჩაველით. ჩამოფსხედით ცხენებიდგან და არაყოთ შევითბეთ შეცივებული ბუნება, ზედ დილის საუზმეც მეტი.

ნიჯგორი საროვლებს ეკუთვნის, სა-რამ ცხილგან გადმოვარდნილს ერთ ქვაზედ ასე აწერია:

„ძრისტე აღდე თამარო... მე ბიორგი, მეფეთა მეფე დიმიტრი, რომელმან... ჟამსა ეს ციხე აღაშენა...“

სხვა აღარ იკითხება. თქვა არის დიმიტრი თავდადებულის დროს 1280 წ. საქმეა. მკველცივებზედ არც საროს და არც ნიჯგორს ნაწერი არა არის ჩა.

ზისაბავრელი ს. ხუციანოვი გვახლდა წინამძღვრად. ჩვენ შეეჭყვეით ძველს წავიწყებულს წამიწებულ საგნებზედ საუ-





გან არც სამილიცო ხალხი გაუყვანიათ... მანა ეს სამართალია?

უფ. ხოსროვეის ჩვენებით, ხალხი ჰყვიროდა: „ზეცალეთ ჯერ მოსავლის მოწვევა, რომ ხარჯის გადახდა შევიძლოთ, და მერე, თუ რუს-ხელმწიფე გვიბრძანებს, ყველანი სათითაოდ გავალთ სალაშქროდ!“

აი ამგვარს გარემოებებში ჩავარდნილ ხალხმა, ასე შევიწროებულმა მოახდინა ის საქმე, რომლისთვისაც სასტიკად იყვნენ დასჯილნი.

იქნება ისინი გასამართლებელი არ იყვნენ, კანონმა, რასაკვირველია, დასაჯა ისინი; მაგრამ ამ შემთხვევამ კარგათ უნდა ჩააფიქროს ის, ვისაც ხალხს ბედზე ზრუნვა აქვს მინდობილი. და ამ ჩაფიქრებებში, უეჭველია, ერთს დასკვნას გამოიყვანს:

მთუ გინდა, რომ ხალხი ამ გვარ შემთხვევასა და უბედურებას ავაცილოთ შემდეგში, უნდა მოესპოთ ის მიზეზები, რომლის წყალობით თვითონ ეს შემთხვევა დაიბადა; უნდა მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ხალხის გაპყვობას, იმ პირთ, იმ მოხელეთ მოქმედებას, რომელნიც ყველაზე უფრო ახლო დგანან ხალხთან...

ს. მ.

დღიური

\* \* \* მდესის გაზეთს „პრაედაში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, 17 ნოემბერს მიღებული ბათუმიდან:

„აქ მოვიდნენ მსმალის დელეგატები რუსეთსა და მსმალეთს შუა ახალი სამზღვრების გასაყვანად. ძამისიას ბევრჯერ ჰქონდა სხდომები და გაცხარებული ბაასიც ატყდა; მაგრამ ვერაფერი კი ვერ გაარიდა ასე, რომ ბოლოს კამისია ისე დაიშალა, რომ რუსისა და მსმალის წევრები ერთმანეთში ვერ მოთავსდნენ.“

„მსმალის დელეგატები თხოულობდნენ, რომ სამზღვარი მდ. ჩოროხზე უნდა იყოს გაყვანილი, ე. ი. ბათუმიდან 6 ვერსზე; ჩვენი (რუსის) წევრები კომისიისა კი არ თანხმდებოდნენ ამანდ და ამტკიცებდნენ, რომ ახალი სამზღვარი სოფ. მაკრიოლზე უნდა გავიდეს, ტრაპიზონისაკენ; და ამ განზრახვით რუსის მთავრობამ კიდევ მოახდინა განკარგულება, რომ ამ ადგილას დაეყენებინა ყარაულები. მაგრამ ლაზები შემოეხვედნენ სამზღვრის საყარაულოდ გაგზავნილ ყაზახებს და არ გაუშვეს; ამით მისამეღლებელად ბათუმიდან ასი კაცი სალდათი გაგზავნეს. ჯერ არ ვიცით—რით გათავდა ეს შეტაკება.“

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენები მშვიდობით დაბრუნდნენ იქიდან ბათუმი და ბორჩხაში...

\* \* \* მდესისავე მეორე გაზეთში „ნოვოროსიის ტელეგრაფში“ იწერებინან, რომ ერთმა თათარმა მოიტანა აქ (მდესსაში) ბათუმიდან გასასყიდლად ორასი ფუთი ჩაი, რომელიც არის მოყვანილი მცირე აზიაში რუსეთის სამზღვარზედაო.

\* \* \* ჩვენ შენიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში მთავრობისაგან ინიშნება ცალკე კომისია ბათუმის მაზრაში, რომელსაც მინდობილი ექნება ადგილობრივ გამოიკვლოს ბათუმი ადგილ-მამულის საქმე—თუ ვის და რა კანონით ანუ რა ფორმანით რა ადგილი ეკუთვნის.

ამ კომისიის თავმჯდომარედ, როგორც გვითხრეს, უფ. დიმიტრი ზ. ბაქრაძე არის დანიშნული.

„დროების“ კორექტორული

ს. მ. საბარეჯოღან, 29 ნოემბერს.

მადლობა ღმერთს, ძლიერ-ძლიობით ელირსა საგარეჯოს ახალი მამასახლისი, კაცი სინდისიანი და მართალი. როგორც ახლა საქმეები დაიწყო, თუ ასე გაატანა პატიოსნურად ბოლომდისინ, სწორეთ საგარეჯო ბედნიერი სოფელი იქნება.

მიიღო თუ არა თანამდებობა, მაშინვე შეუდგა საქმეებს და ყურადღება მიაქცია სასოფლო პურის მალაზიას, რომელიც აზრებული იყო ურიცხვ თავგებით, ოთხფენი და ორფენიანი, კედლის სინესტისა გამო და მალლიდგან წვეთის დენის გამო. ახალმა მამასახლისმა მიწა ააღებინა, საიდანაც სინესტე ეძლეოდა; ახლა სურს, რომ ლამაზა და ხის პოლი გაუკეთოს, რომ მალლიდგან თავგებმა აღარ ახდინონ და ძირიდან სინესტე.

ამის გარდა მიაქცია ყურადღება იმ უწყობას, რომელსაც ახდენდნენ ძველი მამასახლისი და ნაცვალი: ამთ გაწერათ სახელმწიფო ხარჯი და მომეტებულად ჩაეყოლებინათ ოთხმოც თუმანდინ, როგორც ლაპარაკობდა ხალხი. რა ამ ხმებზედ ნამდვილად დარწმუნებულიყო, მოსთხოვა მათ სიები, რომლითაც ფულს აგროვებდნენ. ამანდ ძალიან შეტლიკინდნენ ძველი მამასახლისი და უმეტესად ნაცვალი, რომელიც ძალიან ჯავრობს, არ იცის რას ამბობს. მართმა გლეხმა იჩივლა მამასახლისთან, რომელსაც ერთი თუმანი სწერებოდა, და რაღაც სია ეჩვენებინა, რომ თორმეტი მანეთი გაწერიაო და წაერთმია სრულიად. მამასახლისმა გაუგზავნა გზირი ნაცვალს, რომ მას ორი მანეთი უკანვე დაებრუნებინა; მაგრამ ერთი მანეთი მიეცა და ერთი მიინც აღარ.

ამისთანა ოინები ნაცვალისა პირველი არ არის. ამ ხუთის წლის წინათ, როცა საეკლესიო მამულები სახელმწიფოდ შეირიცხა, იმ წელიწადს ამ ნაცვალს

ბარსა; დაუწყე გამოკითხვა—როგორც ძირათად მცხოვრებსა:—რად უძახიან იმ კლდე გორას ძუროს-თავსა? მის გაღმით სოფელს როკეთსა, მის ჩამოღმა აძვიტარა და აგერ ამ ბახჩების იქით მდებარე კოშკს მარმოცსა?.....

ამ ჩემს წინადადებაზედ ხუციანოვმა რომ არა ვითარი ახსნა ვერ მოყვანა, წარმოსდგა იქ მყოფი შემოსწრებული მოხუცებული კაცის ერთი და მომიყვა ამ რიგად:

„ბატონო, მე გამოგონია პაპაჩემისაგან, აქ სრულ ძველად, ვინ იცის რა დროს, მესხებს ერთი ვიცლა დიდი ხელმწიფე დაუმარცხებიათ, მოუტაციათ ცხენი და აძგვიტას დაუბია მათ. ხელმწიფეს შემოუთვლია: ოღონც ვე ჩემი ცხენი უკან დამიბრუნეთ, აღარას გავნებთ, გავიფლი, ჩემს ქვეყანას წავალო. მაგრამ უარი უთქვე მაშინ იმ ხელმწიფეს ამენია თავის ცხენის ქიხინი, დაუბირებია გამოხსნა, მაგრამ არ საით არ ყოფილა

მისასვლელი გზა. როკეთითგან დაუწყევა კაფეა ტყისა და გვერდებზედ გზის კეთება. მანამდის იმ ცხენს აუწყევიტია, გასულა მტკვარში, შეუბრუნებია ხიზაბაგრის ვენახები ჭენებით და რა ამოუტანებია იმ კლდე-გორის ჭანჭროხზედ, გაქეავებული! იმ ხელმწიფესაც თავის ალაგას რომ აღარ დახვდენია ცხენი, გამოზრუნებულა ნაღვლიანი და ამ მარმოცის წაწალა ხიდზედ გამო. ულა. რა ამ კოშკის კედლებზედ უნახა ორმოციოდე მოჭრილი თავები თავის მხედრებისა, სწყენია დიდად და ისიც აქ გაქეავებულა! იმისთვის გზის ნაკაფ სოფელს როკეთი დარქმევი, ცხენის ნაბამ ადგილს აძგვიტა, გაქეავებულ ადგილას ცხენისა ძუროს-თავი და კოშკსაც მარმოცი! ამ ბერიკაცის ისტორიულმა ამბავმა ტაიტის (ტაციტის) ისტორია მომანახინა და კიდევ ვიპოვე ჩემი საძებარი და ვგონებ თქვენთვისაც სასიამოვნო უნდა იყოს.

აი რასა სწერს ტეინტი ძურცი დიდი

ალექსანდრეს ცხოვრების მეორე წიგნში, ჩვენი ქვეყნის დაჭერაზედა:

„პონტიო ძასპიის ზღვამდის ლინეობა-წაგრძელებულ იყო, ორსაჲ მხარეს მქედები უღელტეხილებით მისდევდნენ; შუა ნაწილი კი ქვეყნისა ცოტა რამ მოქანდული იყო მიღეულ მთვარესავეთ. ამ მარცხენა მხარეს ესახლნენ პერკეტელნი (ქეთელი აჭარლები), მოსინელნი (მესხები) და შალიბნი (ჭანები). ხოლო მარჯვნივ ლეკასორნი (ლაზები) და მინდორ-გაკე მდებარებდა ამზოხთა (სინობის მხარე). იმათ მარცხნივ ემხრობოდა ჩრდილო და ამათ მარჯვნივ დასავლეთის კერძო...“

იქედან განვლო მეფე ალექსანდრემ ოცი უტყვანი უგზო-უყვლოდ, ტყე და ღრმა ხევ-ღლეფ უბრკოლებდა გზასა. რა შიგნი-შიგან შევიდა, ნაირ-ნაირ უხეჭინახულ გარდა მრავალი ხილ-ნარი და ვენახები იყო. აქ მრავლობდა რაცღა თხილის მსგავსი ხე; სანამ მზე ამოვი-



ქონდა მოკრეფილი სამასი თუმანი კანტორაში წარსადგენათ. მა ფული კანტორას აღარ მიეღო და ნაცვალს აღარც ზანანაში წარედგინა. მართის წლის შემდეგ ეს ფული მოსთხოვეს ხალხს; რამდენიმე ჩაფრით უ. პრისტაფი ნათიფეი ჩაუდგა ზეკუციად და სამი დღის განმავლობაში ვაი-ვაგლანით, დედაკაცების და ყმაწვილების წივილ-კივილით მოკრიფეს სამასი თუმანი... ნათიფეი ეუბნებოდა ხალხს, თუ ის ფული მოკრეფილი არის, თქვენ მოსთხოვეთ ნაცვალსაო. ბოლოს მოიყარა ხალხმა თავი, მაინც კიდევ შეიბრაღეს ასეთი დამღუპავი ხალხისა და ჩამოართვეს ოთხმოცდაათი თუმნის ვექსილი, რომელიც დღევანდლამდინ დამალული იყო და მამასახლისმა გამოძებნა. ამას გარდა კიდევ როდესაც ბეგარაზედ გაგზავნიდნენ ვასმეს, ზოგიერთებს თავის ვენახში ამუშავებდა და ბეგრებდა ან თავისუფლებდა.

შველა ეს ოინები ახალმა მამასახლისმა კარგათ იცის, და მიიქცია ყურადღება ამეებს, განსაკუთრებით ბეგარაზედ გაგზავნილთა მოახდინა ისეთი განკარგულება რომ ყოველნი რიგზედ წავიდნენ, არავინ იყვნენ განთავისუფლებულნი და არც არავინ უჯეროდ იყვნენ გაგზავნილნი. როდესაც მისწერა ასეთი განკარგულება, ნაცვალის ციბრუტივით ხტოდა, და სრულდებოდაც არ მიიღო ეს განკარგულება: მამასახლისისა. მამასახლისისა, ყველა უწყობას რომ მოუღოს ბოლო და რიგზედ დაყენოს, ჰსურს, რომ ყოველივე საქმე ყრილობით თავდებოდეს, და არა ისე როგორც აქნამდისინ, უყრილობით, რასაც უნდოდათ, იმას ჩადიდნენ მამასახლისი და ნაცვალის, როგორც უ. მრისთაფა აღმოაჩინა ძველი მამასახლისის რევაზოვის ჩადენილი ოინების გამოძიების დროსა.

რასაკვირველია, ასეთი მოქმედება

ახალი მამასახლისისა გაიძევებს და სვავებს არ ექაზნიებოთ, და ცდილობენ როგორმე და რითიმე აწონ მამასახლისს; მაგრამ იმის ისეთი სიმართლიანი მოქმედება არის მოსაწონი ღვთისთვისაც და კაცისთვისაც. ხოლოთ ამასაც შეუძლიან გამოიხსნას ის ღარიბი და დაჩაგრული ხალხი, რომლებიც აქამდინ იტანჯებოდნენ ჩვენებური სვავებისგან...

ბარჯავლი

## უცხო ქვეყნები

### ინგლისი და ავგანისტანი

ზაზეთს „ღელი ნეუსში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელიგრაფი 23 ნოემბერს მიღებული ინგლისიდან (პეშავარიდამ):

„ღეს მოვიდა აქ ღენ. მათუის დიეიზია, რომელსაც მინდობილი ექნება დაცვა იმ ადგილებისა, რომელიც უკვე დაიპყრეს ინგლისელებმა ავგანისტანში.“

„ამ დღეებში გაიარა აქ ინგლისეთის ელჩმა, რომელიც, ამბობენ, ხონტორისაგან არის მპართან გაგზავნილი იმ განზრახვითა, რომ ურჩიოს იმას ინგლისთან მორაგება და რუსეთის ელჩის გასტუმრება ქაბულიდამ.“

— „ტაიში“ გვაცნობებს, რომ ინგლისის მპართებლობას სპარსეთის შაჰისგან მოუვიდა წინადადება, რომ ავგანისტანის მპირთან შუამავლობას ეიკისრებო. ამბობენ, რომ ინგლისის მთავრობამ უარი შეუთვალა ამ წინადადებაზე: ჩვენ გვსურსო, რომ პარ-და-პირ მოველაპარაკოთ მპირსაო.

— შრანცუხულს გაზეთებში დაბეჭდილია ავგანისტანის მპირის პასუხი ინგლისის ულტიმატუმზე, რომლიდამაც სჩანს, რომ მპირს მხოლოდ იმიტომ არ მიუღია ინგლისის ელჩები, რომ ეშინო-

და—ეი თუ ჩემს შინაგან საქმეებში გავერიოს ინგლისი და აქიჩე, რამდენად უკლებლობა დეკარგოდა და რამდენად მტერობა და უკმაყოფილება ბეგანისტანელებს ინგლისთან არა აქვსთო. მპირი ამბობს ბოლოს, რომ ჩვენ ახლაც მზათა ვართ, რომ განვახლოთ ძველი მეგობრული განწყობილობა ინგლისთან და მივიღოთ ინგლისის ელჩები, თუ ამ ელჩებს ბეგრი ამალი არ მოჰყვება და ცოტა ხანს მოიცდის ის ქაბულშიო.

### ოსმალეთი

უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები ოსმალეთის ახალს მთავარ ვეზირზე—ხაირედდინ-ფაშაზე:

ხაირედდინ-ფაშა შთამომავლობით აზნახია; ისარის დაბადებული სოხუმის მახლობლად სოფ. ბამბურში, სადაამაც ტყვედ წაუყვანიათ ოშენისში; იქ თავის სილამაზითა და ნიჭით მოუქცევია ყურადღება ერთის მინისტრისა, რომელსაც გაუგზავნია და შემდეგ სამსახურში შეუყვანია. 1868 წლიდამ დაწყებული ვიდრე წლევანდლამდინ ის იყო ოშენისის ბეის მინისტრად; წყლს, რაღაც მიხეზის გამო, იმას გაურისხდა ბეი და დაითხოვა სამსახურიდამ. ხეირედდინი მოიხმო მაშინ ხონტქარმა და დღეს, როგორც ჰხდავთ, ახალი სამინისტროს თავმჯდომარეობა მიანდო.

ამბობენ, რომ ამ ახალი სამინისტროს წევრები, განსაკუთრებით თვითონ ხეირედდინი და სამხედრო მინისტრი ოსმან-ფაშა, რუსეთის მეგობრებად არ ითვლებიანო.

— ზაზეთს „ბოლოსში“ მოყვანილია შემდეგი სიტყვა, რომელიც ხეირედდინ-ფაშას უთქვამს სომხების სტამბოლელ პატრიარქისათვის:

„მოწყალე სულთანს ჰსურს, რომ ყველა ამის ქვეშევრდომთ ერთ ნაირი უფლება ჰქონდეს მინიჭებული; ამის გამო

დოდა, მცხოვრებნი მისი ფოთლებით განთავლივით ცვარსა იღებდნენ.

„ტელავ ოც-და-ათი უტევაანი წინ წავლო რა მეფემ, წინ მიეგება თვითან შრატაფერნესი და დამორჩილა ისინიც, ვინც ღარიას სიკედლის უკან გაქცეულ იყვნენ. მიიღო ისინი მეფემ დიდის კაცთმოყვარებით და მოვიდა არუისის (რუისის) ქალაქსა. იქაც გამოცხადდნენ პრატეროსი და მრადიოსი, რომელთაც თან ახლდათ მფლობელი ტაბურელთა (მართველთა) შრადატესი; ესეც მიიღო მეფემ თავის მფარველობის ქვეშ. მით სიმშვიდე მეფისა იქმნა მრავალთ კეთილსამაგალითოდ...“

მარკანის (შახალ-ბოღჩალო და შარაბალი) ქვეყნის მოსაზღვრე არიან მარდელნი (ახალციხელები). მა ტომი ძალიანც ფიცხი ხალხია, დახელოვნებული ტაკვა-გლეჯაში. იმდენ ტომებში მხოლოდ ამათ შეურაცხვეს და არ დაემორჩილნენ მეფესა და არც მოციქული წარმოადგინეს. მანრისხდა დიდად მეფე როგორ თუ თავს უნდა მომეცეს მე

ერთი ტომი! ღაადგინა მუნ მცველნი ბინაზედა და თვითან გამოილაშკრა, ჯარს წინ მოუძღვა, მრთელი ღამე ველო და დილაზედ შევიდა მტრის საზღვრებში; შეება თუ არა მტერსა, გორების წვერებითგან მალე მოიშალნენ ბარბაროსები და მიპირდეს. ახლო-მახლო აყრილი ცარელა სოფლები დაიპირა ჯარმან; შიგნით კი ძალიან ძნელი იყო შესვლა, მთის წვერები კლდიანი გამოქვაბულია, ხშირი ტყით მოცული. ხოლო ვაკეები ახალ რიგის ხელოვნებით გამოგრებული და შეუვალია; ხელით გაშენებული ტყის ნორჩი ტოტები უწიდნიათ, მიწაში დაუხებთქია და შემობრლია, გაუწინათ ხითგან ხეზედ ჯერედ გაშორებული ლოჩეფოთლითა; რომ კაცი დაიბნევა ერთობ; რა გინდ ხელ გამომავალი გმირიც იყოს, ყველა ცდა გაუცუღდება; მცხოვრებნიც მეტად მაწენ არიან თავიანთ მტრისა შეილდ-ისრითა! აქ მეფემ კარგ მონადირესავეთ ძირი კუჩხე გამოძებნა და მრავალნიც დაჰკოდა. შარაბანა ჯარსაც შემოღგომა ხე-ღელეებში, სადაც აღმო-

ჩნდებოდნენ, ეომათ; მაგრამ მრავალი მხედარი დაიბნა ღადალუღებში.

„ამ დროს დათამამდნენ და მეფეს ბუკეფალი (ყუროს-თავოსანი ცხენი) მოსტაცეს. დიდად შესწუხდა მეფე. ბაწყრა და უნდოდა მცხოვრებთა ერთიან ამოქლეტა! მოაძებნინა და მუქარა შეუთვალა მოგნის პირითა: „ჩემს ბუკეფალს უკანვე თუ არ მომიბრუნებთ, ხელითგან ვერც ერთი ცოცხალი ვერ მომიჩრებიო.“ შეერიდათ, დაწყუარდნენ და მზართვეს ძღვნითურთ უკან ცხენი მეფესა. ბარნა ამით არ დასცხრა წყრომა მეფისა, დაწყუბინა კაფვა ხელოვნურის ტყისა და ნაკაფზედ მოაშლეგინა გორის მიწები. რა ამგვარად გზები კეთდებოდა, დაემორჩილნენ მარდელები, აიღო მძევალი და უბრძანა დამორჩილებოდნენ შროთატეს (მირდატს თუ მიტრიდატს), რომელიც დადგენილ-იყო ღარიას პირსთ მეფისაგან მესხთ მთავარ-მმართველად...“

მსეც ჩვენი ტუროს-თავის ისტორიის სინამდვილე, თუ არ ვსცთებით...

(ზაგაძელება)





იმან მომანდო მე, რომ სარწმუნეობისა და ხალხობრობის გაურჩევლოდ, ყველა იმის ქვეშევრდომს ერთნაირის სამართლიანობითა და კანონით მოგეპყრა. ბარდაციოთ თქვენს მრევლს, რომ სომხების შესახებაც ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებ მე მუდამ. თანამდებობა და ადგილი დღეს შემდეგ მიენიჭება მხოლოდ ღირსეულთ.

„ჩვენ ერთი საზოგადო სამომლო გვაქვს. თქვენ ეკლესიებში ვეფრებით ღმერთს, ჩვენ მცხითში; მაგრამ ყველანი ჩვენ ერთის ხონტქრის ქვეშევრდომნი და შეილები ვართ.

„მე ვეცდები შევასრულო ხონტქრის სურვილი და ბრძანება, რომელიც, როგორც ზევით მოგახსენეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა იმის ქვეშევრდომს სამართლიანობა და ერთნაირი უფლება ჰქონდეს მინიჭებოლი.“

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

მდმსსა, 4 დეკემბერს. ბუშინ იყო საზოგადო კრება მდმსსის პომერციული ბანკის აქციონერებისა და ამ კრებაში 120 ხმაში 115 ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, რომ ბანკის ლიკვიდაცია მოახდინოს (ე. ი. დაკეტოს ბანკი).

კატარაშრდის ბირჟა, 5 დეკემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 96—75
მეორე	— 95 — „
მესამე	— 95—12
მეოთხე	— 95 — „
აღმოსავლეთის პირ.	— 92—25
აღმოსავლეთის მეორე	— 91—37
მქრო, 1/2 იმპერიული	— 8—48

თფილ. თეად-ან. ბანკის

გირაოს ფურცელი — — —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის	— — 237—75
მეორე სესხის	— — 222—50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი	— — 23—25 პენსი
ამსტერდამი	— — 118—50 ცენტი
ბერლინი	— — 199—25 ჰფენიგი
პარიზი	— — 245—10 სანტიმი
ბაქასის კერასინი	„ — „

## ბანკსადაბანი

თფილისის ქალაქის რჩევის (დუშის) გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დადგინილი იყო ნომერის 16-ს აღმორჩევითი კრებამი მოგავალი მთხი წლისათვის, რჩევისათვის ხომალთან (გლანსების) ამოსაჩემვალად, იქნება შემდეგ რისხევაში:

პირველი რაზრიადის ამომრჩეველები შეიკრიბებიან 12 ქრისტეშობისთვის ქალაქის გამგეობის (უპრავის) ზალაში, ალაბაზოვის სახლში, სერგევის ქუჩაზე. სხდომა დაწყება დილის 10 საათზედ.

მეორე რაზრიადის ამომრჩეველები უნდა შეიკრიბნენ 15 ქრისტეშობისთვის თფილისის საბრანის (კლუბის) ზალაში, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, ბოლოვინის პროსპექტზე. სხდომა დაწყება სწორედ დილის 10 საათზე.

მესამე რაზრიადის ამომრჩეველები უნდა შეიკრიბნენ 18 ქრისტეშობისთვის ზემონსენებულისავე თ. მუხრან-ბატონის სახლის ზალაში. სხდომა დაწყება აგრეთვე სწორედ დილის 10 საათზე. თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს

დებს რა ამას საყოველთაო სენსიტივობად მოიწვევს უფალთ ამომრჩეველთა: I რაზრიადისას—12 ქრისტეშობისთვის, მე-II რაზრიადის—15 ქრისტეშობისთვის და მე-III რაზრიადის—18 ქრისტეშობისთვის, რათა მოზრდნდნენ კრებებზე დანიშნულ ალაგას და აღნიშნულ საათს.

მისაც ამომრჩეველთ სიის მიღება სურს, შეუძლიან მოზრდნდნენ ქალაქის გამგეობაში და მიიღოს იქამ ეს სია ყოველ დღე გარდა კვირა და უქმ დღეებისა დილის 10 საათიდან ვიდრე ნაშუადღევს 2 საათამდინ.

(6—2)

ჟოველ-დღიური პოლიტიკური და ლიბერალური რუსული გაზეთი.

## მიმოსილვა

(ОБЗОРЪ)

ბამოიციემა თფილისში 1879 წელს ამავე პროგრამითა, მიმართულებით, ამავე ვადებში და ამავე სიგრძით, როგორც 1878 წელს გამოდიოდა.

ხელ-მოსაწერი შასი, გაგზავნილთ და მიტანილთ: წელიწადში—15 მან., ნახევარ წლის—8 მან., სამი თვის—4 მან. 25 კ. და ერთის თვის—1 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ხუთ-ხუთი მანეთი შემოიტანოს პირველს იანვარს აპრილსა და აგვისტოს.

ხელის-მოსაწერ მიიღება გაზეთის კანტორაში ქ. თფილისში, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლს № 7. ქალაქს გარეშე მცხოვრებნი აღრესით დაიბარებენ გაზეთს: В г. Тифлисъ, въ Редакцію газеты „Обзоръ“.

რედაქტორი ნ. ნიკოლაძე.

(3—2)

რ. ბ. შ.	დღა.	ს. დაბ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.	
თფილისი	9/21	5/18	3/21	8/21	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 5 დეკემბერს		მრევლს მადანზე, წ. ნამდგაროვის სახლებში.	
მცხეთა	10/11	6/27	6/28	8/38	ბაქასის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თფ. ბანჯესა, ფთ.	180	აქამყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.	
ზორ	11/58	9/43	2/40	1/33	როსტოვი, მდმსს, მოსკოვი	2	ქერი ფთი	130	მ. რ შაბათს: მერმისევი და ბარლევჩი—შინაგ. ავთა, ქიუჩან-როანცი—საჯარო ექიმი და საშვილოსნო მკურნალები.	
ხაშური	1/29	11/57	3/92	2/18	პეტერბურს, პარსევას	2	ბაზა მრევლისა, ფთი	720	სამშაბათს: მერმისევი—შინაგ. პ. ბ ხუტოვი—საბეილო და ბაგვის, პეტუნოვი—თვალის.	
სურამი	1/44		4/42	2/46	მსხალთში, შევიც. რაში.	3	— ამერიკია, ფთი	8	(მ. თხ შაბათი: მერმისევი შინაგანი.	
შვირილი	5/49		5/81	3/23	იტალია და საფრანგეთში.	3/50	ბაქენტოლი შ მბა ფთი	10	ნაგ., ქიუჩანოცი—იტალიტიკუ-სპირტი ვდრო	
რიონი	6/51		6/75	3/75	ინგლისში	3/75	მალყვი თუშური ფთი	750	480	— მარაქამისა ფთი
სამტრედია	7/51		7/73	4/29			— მარაქამისა ფთი	480	2	— აბრეშუმი ნუხური სტ.
ახალ-სენაკი	8/43		8/57	4/76			ქონი, ფთი	580	7	— მონის სათლი ფთი
შოთი	9/51		9/75	5/42			სტეპარინის სნთელი, ფთ.	1240	90	— ხორცი ძროხისა, ლიტ
							— ცხვრისა, ლიტრა	90	480	— სპირტი ვდრო
							— მარაქამისა ფთი	750	640	— შაქარი, ბროც. ფთი
							— ფხვნილი ფთი	640	70	— შავი გრგვლი, გირვ.
							— ხეთი ქუნჯუთისა ფთი	1280	680	— მამბაქო, საშუალო ფთ.